საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის

ბრძანება №2-163

2020 წლის 21 თებერვალი

ქ. თბილისი

„საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ**:

მუხლი 1

„საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 14 იანვრის №2-29 ბრძანებით (ვებგვერდი, 15/01/2020, სარეგისტრაციო კოდი: 340120000.22.023.016616) დამტკიცებულ „საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგში“ შეტანილ იქნეს ცვლილება დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი — **ლევან დავითაშვილი**

დანართი

საქართველოში გამოსაყენებლად ნებადართული პესტიციდების სახელმწიფო კატალოგის:

1. 22-ე მუხლ(ი)ს:

ა) დაემატოს შემდეგი შინაარსის 87^1 პუნქტი:

87^1	ბაიტი 100 ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

ბ) 92-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

92	ბატალიონი 100 ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

გ) 154-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

154	გლადიუსი, ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

დ) 361-ე ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

361	ზონდერი 100 ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

ე) 364-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

364	თეიქოფ 100 ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

ვ) 383-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

383	ინსაკარი, ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

ზ) 487-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

487	კურა-კურა, ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

თ) 862-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

862	ტალსტარი 10 ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

ი) 920-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

920	ფენდი, ეკ	ბიფენტრინი (100 გ/ლ)	II

2. 29-ე მუხლის შენიშვნა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„შენიშვნა: კატალოგის 29-ე მუხლში მოყვანილი პრეპარატების იმპორტი არ დაიშვება მათი ხელახალ რეგისტრაციაში გატარებამდე“.